გამომცემი: ა(ა)იპ
„ქართული მედია ჯგუფი“,
კატო მიქელაძის
გაზეთის მიხედვით

ხმა ქართველი ქალისა

21 მარტი, 2023 წელი.
გაზეთი ვრცელდება
უფასოდ

№1 გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ

საუკუნის წინანდელი გაზეთი, „ხმა ქართველი ქალისა“ „ქართულმა მედია ჯგუფმა“ აღადგინა

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი. „ხმა ქართველი ქალისა“ 1917-1918 წლებში, ქუთაისში გამოდიოდა. გაზეთის რედაქტორი იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე, ფემინისტი და პუბლიცისტი კატო (ეკატერინე) მიქელაძე (1878-1942). გაზეთს გამოსცემდა ქუთაისის ქალთა კლუბი. 1918 წლიდან კი-„ინტერპარტიული ქალთა ლიგა“. სულ გამოიცა გაზეთის 50 ნომერი. პუბლიკაციათა ავტორები იყვნენ: კ. მიქელაძე, ნ. ნადირაძე, ე. გაბაშვილი, ს. მგელაძე, დ. ახვლედიანი, დ. თომაშვილი ოლ. ბუაჩიძე და სხვ.

გაზეთი დიდი აღტაცებით მიესალმა 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციას და იმედოვნებდა, რომ დადგა თავისუფლებისა და მომავალი ქვეყნის შენების ჟამი. იგი მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიას, რაც, მისი აზრით, აუცილებელი იყო ქვეყნის აღსადგენად და დემოკრატიული მმართველობის დასამყარებლად. კატო მიქელაძე თანაუგრძნობდა სოციალისტ-რევოლუციონერებს, შესაბამისად, გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ მემარცხენე იდეების მიმდევარი იყო, თუმცა, ზოგადად, ქართული პარტიების პოლიტიკური გავლენების მიღმა რჩებოდა და სრულ სარედაქციო თავისუფლებას ინარჩუნებდა.



წელიწადი 2-რე № 17 ხუთშაბათი 20 ივნისი 1918 წ

რედაქტორი კატო მიქელაძე | გამომცემელი ინტერპარტიული ქალთა ლიგა

ხმა ქართველი ქალისა

ფასი 25 კ. ყოველ კვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი ფასი 25 კ.

ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ ᲡᲥᲔᲡᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡᲐ!

გაზეთის პირველივე ნომერში, 1917 წლის 5 აპრილის სარედაქციო სტატიაში, აღნიშნულია, რომ გაზეთი ყურადღებით მიადევნებს თვალს პარტიათა ქმედებას, მათ ნაკლსა და ღირსებას. ამავდროულად შეეცდება „მათ შორის ატეხილს უთანხმოებაში, ერთი რომელი შემაერთებელი ძაფის გამონახვას და გაბმას“. ამგვარად, გაზეთი კრიტიკული იყო საქართველოში არსებული პარტიების მიმართ, ვინაიდან, მისი აზრით, ვერც ერთი პარტიული პროგრამა ვერ ასახავდა და იტევდა იმ საზოგადოებრივ და მოქალაქეობრივ ინტერესებს, რომლებსაც ესწრაფოდა გამოცემა. „ხმა ქართველი ქალისა“ უმთავრეს მიზნად აცხადებდა „დაქსაქსულ ქალთა ძალის“ გაერთიანებას ქვეყნის საკეთილდღეოდ და ქალთა უფლებების დაცვას, „ბრძოლას ქალის „ადამიანური პიროვნების აღდგენისათვის და სამშობლოს უფლებისათვის“.

გაზეთი მოითხოვდა ქალის პოლიტიკური უფლებების აღდგენას, მის მამაკაცთან უფლებრივ გათანაბრებას, ქალთა საარჩევნო ხმის უფლების დაკანონებას და მის მონაწილეობას საკანონმდებლო საქმიანობასა და თვიმმართველობაში, ასევე, სახელფასო ანაზღაურების თანასწორობას თანაბარი შრომისათვის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სქესობრივი პრივილეგიის გაუქმებას, ორივე სქესის თანაბარი განათლების უფლებას და სხვ.

ყველა ნომერს გასდევს ქალთა უფლებების გამომხატველი და მათი გაერთიანების იდეის შემცველი მოწოდებები: „სრული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ქალებს“, „გაუმარჯოს ქალთა სოლიდარობას“, „ქალებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით“, დევიზი – „თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა!“

საგაზეთო პუბლიკაციები ასახავდა და ეხმიანებოდა საქართველოში მიმდინარე თუ საერთაშორისო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს. უმთავრესად კი ფემინისტური თვალთახედვით განიხილავდა მათ. ეს მოვლენებია: პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული საერთაშორისო ამბები, კკავკასიისა და საქართველოს რეგიონული მოვლენები.



გაზეთი ერთგვარ განმანათლებლად ევლინება მკითხველს და პერმანენტულ დიალოგს მართავს მასთან ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებზე, როგორებიცაა: ტერიტორიული ავტონომიის საკითხი, ეროვნული დამოუკიდებლობის მნიშვნელობა ქვეყნის არსებობისათვის, სიტყვის თავისუფლება, ქართული ენის როლი ქვეყნის განვითარებისათვის. შემეცნებით და ინფორმაციულ მიზნებს ისახავს ცალკეულ პუბლიკაციებში საუბარი დემოკრატიული რესპუბლიკის, კონსტიტუციის, განათლების მნიშვნელობის შესახებ, სოციალური თანასწორობის იდეები და სხვ.

გაზეთს ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებსაც ოპერატიულად აწვდის მკითხველს. პუბლიცისტთა განსჯის არეალში ექცევა როგორც საქართველოში, ისე რუსეთსა და ევროპაში მიმდინარე ამბები. გაზეთი დიდი სიხარულით მიესალმა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და აღტაცების გამომხატველი არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა მას.

საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, გამოცემა „ქართულმა მედია ჯგუფმა“ აღადგინა. ორგანიზაცია გორში 2014 წელს ჟურნალისტებმა დააფუძნეს. გაზეთის აღდგენის იდეა კი ერთ-ერთ ტრენინგზე გაჩნდა, რომლის განხორციელებაც „ქალთა ფონდის“ მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. თავდაპირველად დაიბეჭდება 6 ნომერი 100 ცალიანი ტირაჟით, რომელიც შიდა ქართლის რეგიონში ქალთა უფლებრივ მდგომარეობას ასახავს. გაზეთი თვეში ერხელ გამოიცემა და გავრცელდება უფასოდ. მისი არქივი დაცული იქნება პარლამენტის ბიბლიოთეკაში. მისი ელექტრონული ვერსია კი „ქართული მედია ჯგუფის“ ვებ-გვერდზე, Feminism.ge-ზე განთავსდება. ორგანიზაცია ადგილობრივ და ცენტრში მოქმედ უფლებადამცველებთან თანამშრომლობს, რომელთა საქმიანობასაც პარტნიორობის ფარგლებში, პერიოდულად გაგაცნობთ. ყველა ნომერში კატო მიქელაძის დროინდელი გამოცემიდან ამონარიდები დაიბეჭდება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალთა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჩართულობის კუთხით, მათ ისტორილულ მოღვაწეობას.

„ქართული მედია ჯგუფის“ მიერ აღდგენილ 8 გვერდიან გაზეთში, კატო მიქელაძის გამოცემის იერ-სახეა შენარჩუნებული, რაც სიძველის ეფექტს მოახდენს მკითხველზე. მთავარი მიზანი კი არის ის, რომ საქართველოში, თავისუფლებისთვის მებრძოლი ქალების შესახებ ინფორმაცია თაობიდან თაობას გადაეცეს და მათი ჩართულობით მიმდინარე მოვლენები ისტორიამ შემოინახოს.

„ქართული მედია ჯგუფი“

რა კავშირი აქვს საბჭოთა პერიოდის 8 მარტს დღევანდელობასთან?

დღევანდელი გარემო და არსებული გამოწვევები, ძალიან ჰგავს 1920 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის პერიოდს. რა დროსაც, მოსახლეობის ინფორმირება დამახინჯებული და გამოგონილი ამბებით ხდებოდა. დიდი ხნის განმავლობაში 8 მარტი კომუნისტური პარტიის მიერ დაარსებულ დღესასწაულად მიიჩნეოდა, რომელიც დატვირთული იყო საბჭოთა პერიოდის ქალთა გააქტიურების თემით სხვადასხვა სფეროში. იმ დროინდელ გამოცემებში, რა დროსაც ყველა ნაბიჯი ცენზურას გადიოდა, იწერებოდა 8 მარტისადმი მიძღვნილი სტატიები ქალთა მიღწევების შესახებ. სარვამარტო გეგმებიც რამდენიმე თვით ადრე მზადდებოდა, იმ მიზნით,რომ ამ დღის ზეიმით აღნიშვნა სწორედ ქალთა თავისუფლებისა და თანასწორობის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში იმართებოდა საჩვენებელი გამოსვლები, სიტყვით გამოდიოდნენ "აზრთა ლიდერები“, რომლებიც აჯამებდნენ წლიური გეგმის შესრულების ხარისხს; საუბრობდნენ, თუ რამდენი ქალი დასაქმდა, რამდენი ბაგა-ბაღი გაიხსნა, რა წარმატებებს მიაღწიეს ქალებმა საქმიანობის სფეროში და ა.შ. შესაბამისად, 8 მარტს ქალები ზეიმობდნენ ჩაგვრისგან გათავისუფლებასა და სრულუფლებიან მოქალაქეობას, ისე, რომ არანაირი სტატისტიკა თუ დამადასტურებელი ფაქტი ნანახი არავის ჰქონდა.

დღესდღეობით, თანამედროვე ტექნოლოგიების არსებობა, მოქალაქეებს ინფორმაციის გადამოწმების და ფაქტების მოძიების შესაძლებლობას აძლევს, თუმცა ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე მსგავსი თემებით მანიპულირებას ისევ ვხვდებით. სინამდვილეში კი სისტემური პრობლემებიდან გამომდინარე, საქართველოში ფემიციდის, ძალადობის მსხვერპლი და სხვადასხვა კუთხით დაზარალებული ქალების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ამ ფონზე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათი ჩართულობის გაზრდას, ცნობიერების ამაღლებას და დასაქმების ხელშეწყობას უფრო მეტად არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ. შედეგად, ქალებმა ისწავლეს საკუთარი უფლებების დაცვა, საჭიროებების ადვოკატირება და პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები. სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მუშაობის შედეგად, დღის წესრიგში დადგა კვოტირების სისტემაც და ქალები უფრო მეტი რაოდენობით ჩაერთნენ პოლიტიკაში, ვიდრე იყვნენ მანამდე. ქალებმა სწორედ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შეძლეს ბიზნესის წამოწყება, გახდნენ წარმატებული მეწარმეები და ფერმერები, მათი პროდუქტი გაიცნეს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე და აღმოაჩინეს საკუთარი თავი ახალი შესაძლებლობებით და უნარებით. მაგრამ...

საბჭოთა პერიოდის და პროპაგანდის გავლენებში მოქცეული პოლიტიკოსებისთვის ქალების/დედების და ახალგაზრდების განვითარება მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომ გადაწყვიტეს გადაედგათ ისეთი ნაბიჯი, რაც ერთი მხრივ განვითარების გზებს გადაკეტავდა, მეორე მხრივ კრიტიკული აზრის არსებობას დაასრულებდა. ეს ორივე კი დამახასიათებელია დიქტატორული რეჟიმისთვის, რომლისთვისაც სიცრუესა და დარღვევებზე პასუხის მოთხოვნას ვეღარავინ გაბედავს.

რაც შეეხება დღევანდელობას, საუბარია ე.წ. "უცხოური გავლენების შესახებ კანონპროექტზე", რომელიც მისმა ავტორებმა საზოგადოების რამდენიმე დღიანი პროტესტის შედეგად უკან გაიწვიეს. აქციის მონაწილეები თვლიდნენ, რომ კანონის ამოქმედების შემთხვევაში საქართველო სულ უფრო მეტად დაუბრუნდებოდა წარსულს, სადაც სხვა ბევრ მანკიერ მხარესთან ერთად, ქალებს ამჟამად არსებული შესაძლებლობებით სარგებლობა შეეზღუდებოდათ. რადგან,

ინფორმაციის და მხარდაჭერის გარეშე დარჩებიან:

- ძალადობაგამოვლილი ქალები,
- დასაქმებული ქალები,
- მიგრანტი ქალები,
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები,
- მარტოხელა დედები
- რეგიონებში მცხოვრები ქალები
- ომით დაზარალებული ქალები
- ხანდაზმული ქალები
- შშმ ბავშვების მშობლები

აღნიშნული კანონპროექტი მიმართული იყო სწორედ იმ ორგანიზაციებისა და ჯგუფების ლიკვიდაციისკენ, რომლებმაც 2010 წლიდან 8 მარტს კომუნისტური დღესასწაულის სტატუსი ჩამოხსნეს და მას რეალური, ფემინისტური დტვირთვა დაუბრუნეს.

ისტორიული წყაროების ერთი ნაწილის თანახმად, ეს დღესასწაული უკავშირდება 1857 წლის 8 მარტის ნიუ იორკის საფეიქრო მრეწველობის მუშა ქალების გაფიცვას. ხოლო მეორე-კოპენჰაგენში 1910 წელს გამართულ ქალთა კონფერენციასა და გერმანელი სოციალისტის, კლარა ცეტკინის სახელს. ამ ორიდან კი არცერთს არაფერი აქვს საერთო იმ კომუნისტურ დღესასწაულთან, რომელიც ხელს უშლიდა ამ თარიღის ქალთა უფლებებთან დაკავშირებას.

მაგალითად, 1935 წლიდან აქტიურად იწერებოდა გამოცემებში, რომ ქალთა თანასწორობა საბჭოთა კავშირში მიღწეულია. ამის საილუსტრაციოდ ნაჩვენები იყო გამოჩენილი ტრაქტორისტი ქალები, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის სფეროში დაწინაურებული ქალები, თუმცა, 8 მარტის სტატიების მთავარი თემა არა ქალთა უფლებები, არამედ კლასობრივი ბრძოლა და რევოლუცია იყო.

რა ხდება დღეს?

საბედნიეროდ მრავალი უფლებადამცველი ჯგუფისა თუ ქალთა ორგანიზაციის ძალისხმევით, საქართველოში ამ თარიღმა რეალური მნიშვნელობა აღიდგინა და ბოლო 13 წლის განმავლობაში ყოველწლიურად, სხვადასხვა ლოზუნგით აღინიშნება, მათ შორის საუბარია ქალთა საჭიროებებზე, გენდერული დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრაზე, შინ შრომის შემსუბუქებასა და ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვაზე და ა.შ.

2023 წლის 8 მარტს, ქალებს და უფლებადამცველებს ამ ყველაფრისთვის ბრძოლა ერთდროულად მოუწიათ. ქალთა მარშს საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან სკვერში შეუერთდნენ, გორელები თეატრის სკვერშ შევიკრიბეთ და მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი ე.წ. კანონპროექტი გავაპროტესტეთ, რომელიც თითქოს გამჭვირვალობას ეხებოდა, სინამდვილეში, თანასწორი, თავისუფალი და განვითარებული თაობის განეიტრალებისკენ იყო მიმართული.

ეს გულისხმობდა პირად სივრცეში შეჭრას და ტოტალური კონტროლით მოქალაქეებისთვის საბაზისო უფლებებსა და მხარდაჭერაზე წვდომის შეზღუდვას.

მმართველი გუნდის აღნიშნულ მცდელობას ვეწინააღმდეგებოდით საზოგადოებრივი ჯგუფები, მათ შორის ქალთა გაერთიანებები, რომლებსაც თანასწორ, უსაფრთხო და თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება გვინდა. 2023 წლის 8 მარტის აქციაზე ჩემს უმცროს შვილთან, ანასთან ერთად ვიყავი. ის ახლა 3 წლისაა, რომ გაიზრდება მინდა დოკუმენტურ მასალებში საკუთარი თავიც ნახოს და შემდეგ გაიაზროს როგორ ვიცავდით ერთად ადამიანის, მათ შორის გოგონების, ქალების, უმცირესობების და სხვა ჯგუფების თავისუფლებას. მჯერა, რომ წლების შემდეგ ანას თაობა, ევროპული ოჯახის წევრ ქვეყანაში იცხოვრებს და იმ დროინდელ 8 მარტს უკვე უფლებრივი მდგომარეობის კუთხით, გაუმჯობესებულ გარემოში შეხვდება.

ნინო ჩიბჩიური
„ქართული მედია ჯგუფის“
დამფუძნებელი/ხელმძღვანელი

შიდა ქართლში შევქმენით „ფემინისტური მოძრაობა“, სადაც 100-მდე ქალი გაერთიანდა

„ქართული მედია ჯგუფი 2014 წლის 17 ოქტომბერს დავაფუძნეთ. ორგანიზაცია 7 წევრისგან შედგება და აქედან, უმრავლესობა ქალები ვართ. შესაბამისად წესდების შედგენის პროცესშივე შევთანხმდით, რომ ქალთა გაძლიერება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნებოდა. პირველივე მხარდაჭერა, რომელიც იმავე წელს მოვიპოვეთ, სწორედ საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ქალებს ეხებოდა. რუსეთ-საქართველოს ომი 6 წლის დასრულებული იყო და გადავწყვიტეთ კონფლიქტის ზონის სოფლებში ჩვენი კოლეგები სხვა რეგიონებიდან ჩამოგვეყვანა და გმირ ქალებთან პირადად შეგვეხვედრებინა. ჩვენი მიზანი იყო ამ ქალების ისტორია უფრო მეტს სცოდნოდა და მათ შესახებ უფრო მეტ მედიასაშუალებას მოემზადებინა სხვადასხვა მასალები. ჩავედით სოფელ დიცში, სადაც 85 წლის ვენერა ედიშერაშვილი დაგვხვდა და რომელმაც საომარი მოქმედებების დროსაც არ დატოვა საცხოვრებელი სახლი. ახლა მასთან ახლოს საოკუპაციო ძალებმა ტერიტორია დაიკავეს და წლებია მოხუცს ასეთ ვითარებაში უწევს ცხოვრება.

საქართველოს ჟურნალისტებს გავაცანით ერგნეთში მცხოვრები მაგული ოქროპირიძე, რომელმაც ზუსტად 2008 წლის 7 აგვისტოს იმშობიარა და ახალშობილთან ერთად აფეტქების დროს სამშობიაროს ფანჯრიდან გადახტა. დღეს ის, თავის ქეთის ომის შვილს ეძახის და ამბობს რომ მისი დაბადებით ბავშვმა ბოროტება და სიკვდილი დაამარცხა.

ამავე სოფელში ცხოვრობს ლია ჩლაჩიძე, რომელმაც სხვა რეგიონებიდან ჩასულ ჟურნალისტებს ომის კვალი საკუთარ ეზოში აჩვენა. ის ომის დროს დამწვარ ნივთებს ამ დრომდე ინახავს და საკუთარი სახლის სარდაფში ომის მუზეუმად ქცეულ სივრცეს არაერთ ვიზიტორს ათვალიერებინებს.

ეს იმ ქალების არასრული ჩამონათვალია, რომელთა შესახებ „ქართული მედია ჯგუფი“ ამ დრომდე აქტიურად მუშაობს. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ქალებს აქტიურობაში, საჭიროებების ადვოკატირებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში ვეხმარებით.

2021 წელს, შიდა ქართლში ფემინისტური მოძრაობა დავაფუძნეთ, სადაც თავდაპირველად 20 ქალი გაწევრიანდა, 2 წელში კი ეს რიცხვი 100-მდე გაიზარდა. ამ პროცესში ბოლო წლებში აქტიურად გვიჭერს მხარს შვედური ორგანიზაცია „საოქალაქო უფლებების დამცველები„ (Civil Rights Defenders).

ქალებს სურთ იცხოვრონ ისე, რომ საკუთარ სურვილებს, საჭიროებებს, თუ შესაძლებლობებს თავადვე განსაზღვრავდნენ. არაერთი მათი წერილი გამოვაქვეყნეთ ჩვენი ორგანიზაციის საიტზე Feminism.ge, ქალები თავადვე გვიგზავნიან წერილებს და უხარიათ რომ ამ გზით მათ ხმას ვინმე გაიგებს. სამწუხაროდ მათ შორის ძალადობის მსხვერპლებიც არიან. მნიშვნელოვანია, რომ ქალები სოფლებშიც კი აღარ ერიდებიან ხალხის მოსაზრებებს და საკუთარი უფლებების დარღვევაზე ხმამაღლა საუბრობენ. ამ პროცესში დიდი როლი საოქალაქო სექტორს და კონკრეტულად ქალთა უფლებების დამცველებს მიუძღვით. რამდენი ქალი გადაურჩებოდა ძალადობას, მკვლელობას და სხვა ფატალურ შემთხვევებს უფრო ადრე რომ დაწყებულიყო ქვეყანაში ამ ყველაფერზე მუშაობა.

ხშირად როდესაც სოფლებში სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად ჩავდივართ „ბირჟაზე“ მყოფი ადამიანები მოგვაძახებენ ხოლმე: „რატომ კაცების უფლებებს არ იცავთ?“, პასუხსაც მყისიერად ისმენენ: ჩვენ ყველას უფლებებს დავიცავთ, ვინც რაიმე ფორმით ძალადობის მსხვერპლია, ამ შემთხვევაში კი სტატისტიკური მონაცემები ქალთა მხარდაჭერაზე მიგვითითებენ.

ლელა ლოგჟანიძე
„ქართული მედია ჯგუფის“
დამფუძნებელი

„დევნილთა დასახლებებში გამორჩეულად ძლიერი ქალები ცხოვრობენ“

ბოლო თვეების განმავლობაში სხვადასხვა მასალის მოსამზადებლად აქტიურად ვსტუმრობ დევნილთა დასახლებებს. მოგეხსენებათ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 30 000 ადამიანი დევნილად იქცა, მათი დიდი ნაწილი კი გორის სოფლებში დაასახლეს. ამ დრომდე ადგილნაცვალი პირების საჭიროებები თითქმის არ შეცვლილა, თუმცა ქალები კიდევ უფრო ემტი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. სოფელ სკრაში 86 ოჯახი ცხოვრობს. ოჯახის რჩენის მთელი ტვირთი ქალებზეა გადასული. მათი თქმით, კაცებზე გაცილებით მეტს შრომობენ, თუმცა ანაზღაურება ქალებს მათთან შედარებით დაბალი აქვთ.

„სამსახურები არ არის ქალისთვის ისეთი, სადაც კაცის მსგავსად ექნება ანაზღაურება, მამაკაცებს შედარებით მეტს უხდიან, თუნდაც იგივე სამუშაოში, რაზეც ქალი მუშაობს. ეს კი ვერ ხდის ქალს ეკონომიურად უფრო ძლიერს და დამოუკიდებელს“.

სოფელ ხეითიდან, დევნილი სონია ჩერქეზიშვილი ამბობს, რომ დღემდე დიდ პრობლემად რჩება ქალების დასაქმება. ის 14 წელია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს, რომელიც მუნიციპალური ცენტრიდან დაშორებულია და სამსახურის ძებნა უჭირს.

„45 ლარი გვაქვს დევნილობის, ამით როგორ უნდა გავიტანოთ თავი, უმუშევრობა ჩვენი დევნილების მთავრი პრობლემაა. მეურნეობა, რომელიც აქ, სკრის დასახლებაში მცხოვრებ ქალებს გვაქვს, თავის სარჩენად საკმარისი არ არის. რესტორანში ვმუშაობ, ჭურჭლის მრეცხავად, იმიტომ, რომ მიჭირს, იძულებული ვარ ვიმუშაო, თუნდაც მრეცხავად, ოჯხს, რომ სჭირდება, თუნდაც დაბალ

ანაზღაურებაზე, თუნდაც იმიტომ, რომ სახლში არ დაჯდე, არ ,“დაიწიხლო,“ მდგომარეობა, რომ შეიმსუბუქო, გახვიდე გარეთ. სამსახური ჩვენი დასახლებიდან ძალიან შორს არის, საღამოს სახლში ტაქსით მიწევს დაბრუნება, რაც დიდ ხარჯებთნ არის დაკავშირებული. იგივე პრობლემას აწყდებიან სხვა ქალებიც. ყველგან ის გვესმის, რომ ქალი და კაცი თანაბარი შესაძლებლობის არის, მაგრამ არ ვფიქრობ ასე, იცით რატომ? ქალს არ აქვს შესაძლებლობა, ჩვენი დასახლების მაგალითზე გეტყვით, გავიდეს გარეთ და იმუშაოს, იყოს დამოუკიდებელი ფინასურად, ფინასური დამოუკიდებლობა კი აძლიერებს ადამიანს, მათ შორის ქალებს“-ამბობს, ის.

მათი თქმით, სამსახურები არ არის ქალისთის ისეთი, სადაც კაცის მსგავსი ხელფასი ექნება. ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებისას მაკაცებს მეტს უხდიან, ეს კი ვერ ხდის ქალს ეკონომიურად ძლიერს და დამოუკიდებელს. ქალი გარეთ, რომ გადის უნდა ღირდეს, სათამაშოდ ხომ არ გავა და მოცდება მთელ დღეს?! ქალებს ორმაგი დატვირთვა აქვთ, იყვნენ დიასახლისები, აკეთონ სახლის საქმე და აუცილებელია ჰქონდეთ სამსახური.

„სტერეოტიპები ცოტა დაინგრა, რომ ქალი უნდა იჯდეს სახლში, ესმით მაკაცებსაც, რომ ეს აუცილებელია, მაგრამ ისეთი ანაზრაურებაა ქალებისთვის რომ არ გვიღირს“ – ამბობენ სკრის დევნილთა დასახლებაში მაცხოვრებლები.

სკრასთან ერთად გენდერულ ბალანსსა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში ქალის როლზე „ქართული მედია ჯგუფი“ ტრენინგებს, სხვა დევნილთა დასახლებებშიც ატარებს. პროექტის მონაწილეებმა უკვე იციან გრანტების მოძიებისა და ადვოკატირების ეტაპები. საომარ მოქმედებებს გამოქცეული და საკუთარ ქვეყანაში დევნილად ქცეული ქალები, ცხოვრებისეულ სირთულეებს არ უშინდებიან და ხვალინდელი დღის გათენებასაც მომავლის იმედით და მხნედ ხვდებიან.

შორენა ბიჭიკაშვილი
„ქართული მედია ჯგუფის“
ჟურნალისტი

500-მდე ქალი საოკუპაციო რეჟიმისგან ძალადობის მსხვერპლია – როგორ ვზრუნავთ მათზე?

სულ ახლახანს საქართველოში ქალთა საერთაშორისო დღე აღვნიშნეთ. გავავრცელეთ პოსტერები, მოვამზადეთ სტატიები, გადავიღეთ ფილმები და ნარმოვაჩინეთ, ქალები, რომლებსაც საზოგადოება ნამდვილად უნდა იცნობდეს, თუმცა გადის წლები და ამ დღესაც კი რატომღაც ჩრდილში ექცევიან ქალები, რომლებიც სოფლად, განსაკუთრებით კი ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან, სიცოცხლის რისკის ფასად ცხოვრობენ. საუბარია იმ ქალებზე, რომლებიც საოკუპაციო რეჟიმისგან ძალადობის მსხვერპლები არიან და ცხინვალის ან სოხუმის ე.წ. საპატიმროში ხვდებიან.

ნანა ვანიშვილი 2013 წელს, მავთულხლართების მიღმა დარჩენილი მშობლების მონახულებისას, მეუღლესთან ერთად დააკავეს და ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ საპატიმროში გადაიყვანეს. ნანა ამბობს, რომ სახლი, სადაც ბავშვობა გაატარა, დღეს მისთვის გადაღობილია და ახლა უკვე ქვრივ დედასთან თავისუფლად ვეღარ გადაადგილდება. იხსენებს, რომ დაკავებისას ფსიქოლოგიური სტრესი მიიღო და მომხდარი დღემდე ვერ დაივიწყა. ასეთ ვითარებაში მყოფი ქალი რაიმე განსაკუთრებული სტატუსით არ სარგებლობს, ამიტომ მავთულხლართოლების მიღმა მცხოვრები მარტოხელა დედის დახმარებას ბოლო წლებში ვეღარ ახერხებს.

განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაში მოუწია ყოფნა ოკუპირებული ტერიტორიის საპატიმროში **მაია ოთინაშვილსაც**, ის საცხოვრებელი სახლის სიახლოვეს 2018 წელს დააკავეს და ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. მაია 10 დღიანი ტყვეობის შემდეგ გამოუშვეს, თუმცა რეალობაში დასაბრუნებლად მთელი რიგი ეტაპები დასჭირდა. შიშის გამო ის იძულებული გახდა ჯერ საკუთარი სოფელი მიეტოვებინა და ქალაქში დასახლებულიყო. სოფლის მეურნეობაში ჩართულმა ქალმა უჩვეულო გარემოში

გაგრძელება მე-5 გვ.-ზე

„ქალებმა თავად უნდა მოძებნონ ძალა საკუთარ თავში, რომ ჩაგვრისას არ გაჩუმდნენ“

ჩვენი ორგანიზაცია არსებობს, უკვე 12 წელია. ჩვენ ვართ "ფონდი ტასოს" დაფუძნებული. 2009 წელს ამ ფონდმა კარალეთის თემში განახორციელა პროექტი, ძალადობასთან საბრძოლველად და სათემო განვითარებისთვის. ამ პროექტის ფარგლებში საინიციატივო ჯგუფმა გავიარეთ გარკვეული მომზადება, ქალთა უფლებებისა და მართვის კუთხით, სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ დაგვეფუძნებინა ადგილობრივი ორგანიზაცია.

ძირითადად ვმუშაობდით ოჯახში ძალადობის კუთხით, თუმცა მოგვიანებით ჩავერთეთ სხვადასხვა პროექტში, ახალგაზრდების გაძლიერების და განათლების მიმართლებით, რადგან ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით მომართვიანობა უკვე შემცირებული იყო. ამას კი ვუკავშირებთ იმას, რომ ჩვენ უკვე 10 წელია ვმუშაობთ ამ თემში, ამასთან კანონის მოქმედებაც უფრო უკეთესია ვიდრე გასულ წლებში, აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ ახალგზრდებთან მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია და გაცილებით იოლია, რადგან შემდეგ უკვე დამდგარ შედეგებთან და პრევენციაზე გვინდა გავაკეთოდ აქცენტი.

ახლა ვმუშაობთ, არა მხოლოდ კარალეთის თემში, არამედ სხვადასხვა სოფლებში, შიდა ქართლის მაშტაბით, პროექტების ფარგლებში გვინდა აქცენტი გადავიტანოთ გოგონებზე, მიუხედავდ იმის, რომ ჩვენი ინტერესის სფერო ქალები და გოგონები არიან, გოგონები უფრო მოწყვლადები არიან, რადგან არასრულწლოვნები არიან, ხშირად ვერ აცნობიერებენ რა უფლებები გააჩნიათ, როგორ უნდა მოიქცნენ, როცა მათი უფლებები ირღვევა.

ამ პროექტის ფარგლებში, რომელიც ჩვენ გვაქვს, არჩეული გვაქვს ე.წ საზღვრისპირა სოფელში, დევნილთა ჩასახლებები. პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი ორგანიზაცია მუშაობს, სოფელ ოთარშენში, ეს არის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფელი. მოგეხსებეათ, მათთან მუშაობის გამოცდილება ჩვენ არ გვქონია და ამ პროექტით ვცდილობთ ვიქონიოთ კონტაქტები, ძირითადად შევდივართ სკოლებში, ვატარებთ სემინარებსა და ტრენინგებს, ნაადრევი ქორწინების თემაზე, ბულინგზე, ინტერნეტუსაფრთხოებაზე და იმ თემებზე სადაც, ირღვევა არასრულწლოვანთა უფლებეი. ჩვენ შეგვიძლია დავაკვალიანოთ და იურიდიული კონსულტაცია გავუწიოთ, თუმცა თუ არ გავქვს ისეთი კომპეტენცია, მაგალითად იურიდიული მოსახურება გავუწიოთ სასამართლოში, მაშინ ვამისამრთებთ შესაბამის ორგანიზაციებში. ეს არის ხშირად ახალგაზრდა იურისტტა ასოციაცია და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ცენტრი, ასევე არის სახელმწიფო სერვისები.

ადგილი აქვს ძირითადად ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, ფიზიკური უფრო გამოხატულია, თუმცა ფსიქოლოგიური უფრო მეტია.

ორი წლის უკან ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, ეს იყო „ქალთა ფონდის“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, გამყოფ ხაზთნ მდებარე სოფლებში. ზუსტად ვიცოდით რა კონტიგენტთან ვატარებდით კვლევას და ჯგუფში იყო ძალადობის მსხვერპლი ქალი, შეკითხვაზე გქონიათ თუ არა ძალადობის შემთხვევა? ან ჰქონიათ თუ არა თქვენს ირგვლივ მსგავსი შემთხვევა, ყველამ დაწერა – არა. გამოვკითხეთ ორასი ქალი, ორასივემ დაწერა არა, ეს იყო ჩემთვის გამაოგნებელი, წარმოუდგენელია ორასი ადამიანიდან ვინმეს არ სცოდნოდა გარშემო ძალადობის მსხვერპლი ქალი. თვითონ ძალადობის მსხვერპლმაც არ დაწერა, მიუხედავდ იმის, რომ ეს იყო ანონიმური გამოკითვა. აქედან ჩანს, რომ ეს პრობლემა არის გაუცნობიერებელი, ისევ ქალები ამბობენ, რომ არა, მე არ ვარ მსხვერპლი. ამასთან უჭირთ ხმამაღლა საუბარი, ან არ უნდათ, რომ იყვნენ მსხვერპლები და იგნორს უკეთებენ საკუთარ თავს. ალბათ ისევ ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, რომ არა, მე არ ვარ მსხვერპლი.

არ დარჩენილა თემა, რომ ათი წლის მანზილზე, მოსახლეობისთის არ მიგვეწოდებინა ინფორმააცია, ეს არის რეპროდუქციული ჯანმრთელობა, შრომითი უფლებები, გვიმუშავია მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან, მაწავლებლებთან, ექიმებთან, პოლიციელებთან.

ვთვლი, რომ ერთი ორგანიზაციის საქმიანობა ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს, თუ თავდ ქალები არ იქნებიან ამ საკითხებში უფრო აქტიურები და არ ამოიღებენ ხმას. გამბედაობა იმისთვისაა საჭირო, რომ აღიარო სად გაქვს პრობლემა და დაიწყო ამ პრობლემის გადაჭრა. მთავარია, ქალმა თვითონ იპოვოს თავის თავში ძალა და იყოს დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში.

მარიამ თედლიაშვილი
„კარალეთის ქალთა სოლიდარობის ცენტრის“ ხელმძღვანელი

დასაწყისი მე-4 გვ.-ზე

ყოფნა დიდხანს ვერ შეძლო და საკუთარი უსაფრთხოებისთვის ემიგრაციაში წასვლა არჩია.

ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით, საქართველოს მოქალაქეებს თითქმის ყოველთვე აკავებენ. ეს პროცესი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყო და დღემდე გრძელდება. დაკავებულთა შორის არიან ქალები, რომლებიც საკუთარ მიწის ნაკვეთში მუშაობისას ან საცხოვრებელი სახლის ეზოებიდან მოიტაცეს. უმძიმეს პირობებში რამდენიმე დღე, კვირა, თვეც ჰყავთ და ე.წ. ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ ათავისუფლებენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2008 წლიდან-სექტემბრის ჩათვლით, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებულია 3397 პირი, მათგან 1 927 ოკუპირებული აფხაზეთის, 1 470-ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით. მათ შორის 493 ქალია.

ოკუპირებული რეგიონების საპატიმროებიდან გამოყვანილი ქალების ნაწილი დღეს იმავე საფრთხის ფონზე აგრძელებს ცხოვრებას, თუმცა, როგორც რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ძალადობის მსხვერპლები რაიმე განსაკუთრებულ მხარდაჭერით ვერ სარგებლობენ, თუ არ ჩავთვლით არასამთავრობო სექტორის მხრიდან განხორციელებულ იურიდიულ-ფსიქოლოგიურ თუ სხვა დახმარებას.

მომხდარი ფაქტები ვრცელდება მედიაში, ანგარიშებში, განცხადებებში და ა.შ. თუმცა როგორ ვზრუნავთ მას შემდეგ მათზე? ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობისა თუ სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაპირისპირების ფონზე, საოკუპაციო ძალების „კლანჭებისგან“ ძლივს გადარჩენილ ქალებს ისევ მძიმე ყოფაში ვაბრუნებთ. ვაიძულებთ, რომ თავად მიხედონ საკუთარ პრობლემებს, რომელიც მათ არ შეუქმნიათ. თუნდაც სიცოცხლის რისკის ფასად დაამუშაონ მავთულხლართებით გაყოფილი მიწის ნაკვეთები და რუსეთის ჯარისკაცების კონტროლის ქვეშ აღებული მოსავალი მთელი წელი იკმარონ. მიხედონ ოჯახსაც და დღის ბოლოს გადაქანცულები, რომ თვალებს მილულავენ, ისევ გატაცების მომენტებზე ფიქრი სტანჯავდეთ.

ნინო ჩიბჩიური

საქართველოს მოქალაქეთა დაკავების სტატისტიკა ოკუპირებულ რეგიონებში (2008-2022/09):



წყარო: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

„მსხვერპლი ქალების მომართვიანობა ჩვენთან ბოლო პერიოდში გაიზარდა, რაც ცნობიერების ამაღლების შედეგია“

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ოფისი შიდა ქართლში და სამცხე-ჯავახეთში უკვე 22 წელია საქმიანობს. ამ დროის განმავლობაში, ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, ქალთა უფლებების დაცვაა. უპირველსად მინდა აღვნიშნო, სამართლებრივი დახმარების მიმართულება. ქალებს და გოგონებს აქვთ უფლება მოგვმართონ იურიდიული დახმარებისთვის, ჩვენ ვახორციელებთ, როგორც პირად ისე სატელეფონო კონსულტაციებს, ასევე გვაქვს გასვლითი კონსულტაციები. შესაბამისად, თუ რომელიმე გოგონას გაუჩნდება სურვილი, რომ დაიცვას საკუთარი უფლებები, ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ საადვოკატო მომსახურება უფასოდ, ჩვენთან მოქალაქეები იურიდიულ და საადვოკატო მომსახურებაში თანხას არ იხდიან.

გარდა საადვოკატო მომსახურებისა და იურიდიული დახმარებისა, ჩვენ გვაქვს ასევე, საინფორმაციო კამპანია, ისეთი როგორიცაა, ცნობიერების ამაღლება, რათა უფრო სწორად მოხდეს იმ საკითხებისა და თემის გაშლა და დანახვა, რაც გულისხმობს ქალთა უფლებებს და მის დაცვას. უკანასკნელ პერიოდში, ჩვენი მხრიდან ასევე ყურადღება მახვილდება, გენდერულ თანასწორობაზე, ფემიციდის შემთხვევებზე, მის თავიდან აცილებაზე.

მნიშვნელოვანია საკანონმდებლო სივრცის მოწყობაში, ჩვენი ორგანიზაციის როლი, ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით. ამ მხრივ, საკანონმდებლო სივრცე დაიხვეწა, შექმნილია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის კანონი, შესაბამისი მექანიზმებიც ამუშავებულია. ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელმაც სწორად განსაზღვრა სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა, ოჯახში ძალადობისა, ქალთა მიმართ ძალადობის და ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

ჩვენ სისტემატიურად მონიტორინგს ვახორციელებთ, სახელმწიფოში არსებული მექანიზმების ეფექტურობაზე, რამაც მაგალითად გასულ წლებში მოგვცა, შესაძლებლობა, სამოქალაქო სექტორს განხორციელებულიყო ისეთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რამაც შესაძლებელი გახადა შსს სისტემაში, შემუშავებულიყო სპეციალური კითხვარი. ეს იძლევა, ოჯახში ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებას, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა შემაკავებელი ორდერების გამოწერის შესაძლებლობა. უფრო მეტად მოქნილი გახადა სისტემა, რომ ქალები დაცულები იყვნენ, მაგრამ მინდა ავღნიშნო ისიც, რომ თუ თვითონ ქალები და გოგოები არ გადადგამენ ნაბიჯს, რომ მათი ცხოვრება არ წარიმართოს ძალადობრივ გარემოში, ძალიან რთულია გარედან შეცვალო მათი ყოველდღიურობა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი საინფორმაციო შეხვედრები, ცნობიერების ამაღლების კამპანიაც, უნდა იცოდნენ სავარაუდო მსხვერპლებმა, რომ მათი უფლებები იყოს დაცული და ეს შესაძლებლობები გამოიყენონ.

უკანასკნელ პერიოდში მახვილდება ყურადღება, ისეთ მოწყვლად კატეგორიაზე, როგორიცაა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, სადაც ძალადობის ფაქტები უფრო მეტად იკვეთება. ეს უფრო ჩაკეტილი თემია, ქალებს არ აქვთ ინფორმაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ნაადრევ ქორწინებასთნ მიმართებაში.. ამიტომ ჩვენ, ყველა იმ ადამიანს ვინც თვლის, რომ მისი, როგორც ქალის უფლებები დარღვეულია, შეუძლია მოგვმართოს და მიიღოს იურიდიული დახმარება.

ბოლო პერიოდში ყურადღება მახვილდება ასევე ქონებრივ უფლებებზე. როდესაც საკითხი დგას განქორწინებაზე, აქ იკვეთება, რომ ქალის უფლებები არის დარღვეული, იმათ სახელზე არაფერი ირიცხება და არიან არარეგისტრირებულ ქორწინებაში, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის ქონებრივი უფლებების დაცვის მიმართულებით. ამიტომ ეს ყველა საკითხი სათავეს იღებს ცნობიერებიდან და განათლებიდან.

ჩვენი ყურადღება მახვილდება ასევე კონფლიქტის რეგიონში მცხოვრებ ქალებზე, რადგან ისინი განსაკუთრებით მოწყვლადები არიან. მიუხედავდ იმისა, რომ ქვეყანა შეერთებულია ისეთ მნიშვნელოვან, რეზოლუციებთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქალის უსაფრთხოების დაცვა, საქართველოში ამ მიმართულებით ძალიან მცირე ნაბიჯების გადადგმა ხდება, რომ არა სამოქალაქო სექტორის აქტიურობა, ეს არ იქნებოდა, რაც ძალიან სამწუხაროა, რადგან ქვეყანა იმყოფება სულ მუდმივად კონფლიქტის რეჟიმში და ეს საკიხთხები უნდა იყოს ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი.

ყველაზე მეტი მომართვიანობა ეხება ოჯახში ძალადობას, რაც უკავშირდება ერთის მხრივ, ცნობიერების ამაღლებას, მეორეს მხრივ, საკანონდებლო ცვლილებებს, რაშიც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ძალისხმევა ხაზგასასმელია. ეს მექანიზმი იძლევა შესაძლებლობას, მაგალითად: თუ ადრე არ ხდებოდა კონკრეტულ შემთხვევაზე შემაკავებელი ორდერის გამოწერა, ახლა ხდება. ეს კი მსხვერპლის მეტ დაცულობას უზრუნველყოფს.

ძალიან მნიშვნელოვანია თავად ქალებმა, გოგოებმა და ზოგადად ნებისმიერმა ადამიანმა თავად დაიცვას საკუთარი უფლებები, გაიარონ იურიდიული კონსულტაციები, რათა თავიდან იყოს აცილებული ძალადობის, ასევე ფემიციდის შემთხვევები.

ქეთევან გეგიაშვილი
„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ გორის ოფისის ხელმძღვანელი

12 წლის ბარბარეს ნამუშევარმა, ქალთა უფლებების შესახებ, ფრანგული ინსტიტუტის კონკურსში გაიმარჯვა

წელს იანვარში, ჩემმა მეგობარმა ნატალიმ მომიყვა ამბავი, რომელიც მის კლასში მოხდა. ნატალის ორი ბიჭი კლასელი ლაპარაკობდა და მასწავლებელმა თქვა, ბიჭები იმიტომ არიან, რომ გოგოებივით არ იჭორაონო. ძალიან გავბრაზდი, როდესაც ეს გავიგე, რადგან გამოდის, რომ ეს მასწავლებელი გოგოებს „ჭორიკნებად“ აღიქვამს?

შემდეგ დავფიქრდი და გამახსენდა ის ფრაზები, რაც დარწმუნებული ვარ ხშირად გსმენიათ: „გოგოსავით ტირი“, „გოგო ხო არ ხარ?!“ და უამრავი მსგავსი, აქ გამოიხატება საზოგადოების დამოკიდებულება ქალების და გოგონების მიმართ,თითქოს ქალები ცუდები, ან სუსტები არიან.

მე ვარ 12 წლის და ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი ასაკის ბავშვებმა იცოდნენ ქალთა უფლებების შესახებ. ზოგს სმენია ამ საკითხზე, მაგრამ არ ფიქრობს რომ ეს მნიშნელოვანია, არადა, ზოგ ქვეყანაში გოგოებს და ქალებს ჯერ კიდევ არ აქვთ განათლებაზე წვდომა, ან სამსახურში ნაკლებს უხდიან, ან ყველაფერში მათ ადანაშაულებენ იმის გამო, რომ ქალები არიან, ან უწესებენ როგორები უნდა იყვნენ (ეს უკანასკნელი თითქმის ყველგან).

მინდა ნატალის მასწავლებელმა იცოდეს, რომ მე და ჩემი მეგობრები სინამდვილეში „ჭორიკნები“ კი არა, ძალიან მიზანდასახულები ვართ. გვინდა ყველამ გაიგოს, რომ გოგოებისთვის დადგენილი ნორმები უსამართლო და მჩაგვრელია.

მე ფრანგულ ინსტიტუტში ორი წლის ასაკიდან დავდივარ. წელს პირველად, ქალთა უფლებებზე ორგანიზებულ კონკურსში ვმონაწილეობდი. დიდად დარწმუნებული არ ვიყავი საკუთარ თავში, მაგრამ მაინც მივიღე ეს გამოწვევა. დავწერე ესსე ქალზე, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში მაძლევდა ინსპირაციას-დედაჩემზე და ჩემდა გასაკვირად, ინსტიტუტის ეს კონკურსი მოვიგე! ეს იყო შესაძლებლობა გოგოებს გვეთქვა ჩვენი სათქმელი. ბევრი მსგავსი პლატფორმა უნდა არსებობდეს ჩემი ასაკის ბავშვებისთვის ამ თემაზე.

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ბავშვებმა მოძებნონ ადამიანი, რომელიც მათ აძლიერებს და მათთვის ინსპირაციაა. ეს ადამიანი მათ მოტივაციას უნდა აძლევდეს. ჩემ ასაკში გოგოებმა უნდა იცოდნენ რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ, გაუმკლავდნენ საზოგადოების კრიტიკას იმის გამო, რომ გოგო ხარ. გოგონებმა უნდა ვიცოდეთ რა ვქნათ, როცა ჩვენს უფლებებს არღვევენ, როცა განსხვავებულად გვექცევიან „გოგოობის“ გამო. სკოლაში ჩემი ასაკის ბიჭები ხშირად ამბობენ „ეს გოგებისთვის არ არის“ და ასეთ რაღაცებს. იმისდა მიუხედავად, რომ სამოქალაქო განათლებაში გავიარეთ თანასწორობის საკითხები, ბიჭები მაინც იგივეს ამბობენ. რაღაც არ არის საკმარისი, სადღაც სახლში, ან სხვაგან ვერ უხსნიან, ან ეს გაკვეთილებიც მეტად უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული.

ხანდახან მიკვირს რადგან, მაშინ, როცა გოგოებმა ბევრჯერ დავამტკიცეთ, რომ ყველაფერი შეგვიძლია, ბავშვებთან უმარტივესი ამბების ახსნა მიწევს. ქალები მიფრინავენ კოსმოსში, აქვთ უამრავი მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენა, ასევე გამოგონებები, რომლითაც მთელი სამყარო სარგებლობს. მაგალითად, ანა კონელი, რომელმაც გამოიგონა მეტალის კიბეების მოწყობილობა, რომელიც გამოყენება შენობებიდან საგანგებო გასასვლელისთვის და ამ გამოგონებამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა და მე ამასობაში ელემენტარულის ახსნა მიწევს, იმის, რომ ჩვენთვის, გოგოებისთვის დაწესებული ნორმები უნდა დაინგრეს.

ნატალის მასწავლებელო და არამარტო შენ, მინდა იცოდეთ რომ ჩვენ, გაბრაზებული გოგოები თქვენგან დაწესებულ „გოგოობის სტანდარტებს“ ყოველ ნაბიჯზე დავამსხვრევთ და იცოდეთ, რომ ასეთი ნორმების დაყენება ცუდია!

ბარბარე მიქიაშვილი, 12 წლის

რა იციან ანა (ოლღა) სოლოღაშვილზე მის მშობლიურ სოფელში და ვინ დარჩა მას იქ?

სოფელ მეჯვრისხევში, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი და ერთ-ერთი პირველი, ქართველი ქალი პარლამენტარი მათ გვერდით იზრდებოდა. მშობლიურ სოფელში დღეს მწირი ინფორმაციაა შემორჩენილი ანა (ოლღა) სოლოღაშვილის ცხოვრების შესახებ. ისიც ძირითადად მისი შთამომავლების მიერ ვრცელდება, რომლებიც გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში ცხოვრობენ.

„ანა სოლოღაშვილი, გათხოვილი არასდროს ყოფილა, შესაბამისად მას პირდაპირი შთამომავლები არ ჰყავს, ის პაპაჩემის მამიდა იყო“, – ამბობს გიორგი სოლოღაშვილი, რომლის ოჯახიც ანა სოლოღაშვილის ერთადერთი ახლო ნათესავია.

– რას ჰყვებოდა პაპა, რა არის ისეთი, რომლის შესახებაც საზოგადოებამ არ იცის?

– იმ დროს, ამ თემაზე ხმამაღლა საუბარს ერიდებოდნენ, ალბათ ამიტომ სამწუხაროდ, ანა სოლოღაშვილის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, პაპისგან ვიცით ის, რომ არ იყო გათხოვილი, დიდხანს არ უცხოვრია აქ, მეჯვრისხევში, რადგან მეტწილად სხვაგან მოღვაწეობდა, დეტალურად არც მისი და-ძმის შესახებ ვიცი, სამწუხაროა ისიც, რომ ამჟამად არავინ არის დარჩენილი ისეთი, ვისაც, თუნდაც გადმოცემით იცოდეს მისი ამბავი. საბჭოთა პერიოდში ღიად საუბარს ყველა ერიდებოდა. პაპა ამბობდა, რომ სულ დევნაში იმყოფებოდა, დევნის დროს თავს ერთ ოჯახს აფარებდა, სწორედ იქ მომხდარა მისი დაპატიმრება.

– ალბათ თქვენი ოჯახი დაინტერესებული იქნებოდა, მეტი გაეგო მის შესახებ, თუ გიცდიათ რაიმე მასალების შეგროვება?

– კი იყვნენ დაინტერესებულები, ბევრი გვეხმიანებოდა, ჩვენმა ოჯახმა იცოდა ის, რა ინფორმაციაც არქივიდან არის გამოტანილი, კიდევ ყოფილა სხვა მასალებიც, რომელიც დაცულია, თუმცა მას არ ხსნიან, შესაბამისად, არც ჩვენ ვიცით დამატებით რამე. ხშირად მიკავშირდებიან, აინტერესებთ ჩვენი ოჯახიდან მეტის გაგება, თბილისიდანაც დამირეკეს, მაგრამ მწირი ინფორმაციის გამო უარს ვეუბნები შეხვედრაზე. ჩვენ ერთი გვარი ვართ სოფელში, მას აქ ახლობელი სხვა არავინ ჰყოლია.

– თქვენ რას იტყოდით მის მოღვაწეობაზე?

– ჩემი სათქმელი ისაა, რომ ყოველთვის უფრო მეტი უნდა ვიცოდეთ ანა სოლოღაშვილის მსგავს ადამიანებზე. სამწუხაროა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ფიგურის შესახებ მის მშობლიურ სოფელშიც ბევრი არაფერი იციან. მეჯვრისხევში რამდენიმე წლის წინ მხოლოდ საინფორმაციო დაფა დადგეს, სოლოღაშვილის იმ მოკლე ბიოგრაფიით, რაც ისტორიამ დღემდე შემოინახა.

ანა სოლოღაშვილი 1882 წელს გორის სოფელ მეჯვრისხევში დაიბადა. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი და 1917 წლამდე აქტიურად ეწეოდა, პედაგოგიურ საქმიანობას. პარალელურად ის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი იყო. მისი პოლიტიკური ხასიათის ქმედებები კარიერის დასაწყისშივე იქცევდა ყურადღებას: 1912 წელს ანა არსებული რეჟიმის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით დააკავებს, თუმცა სასამართლომ დანაშაული ვერ დაუდგინა და გაათავისუფლეს.

1917 წლიდან ანა სოლოღაშვილი კიდევ უფრო ერთვება პოლიტიკურ პროცესებში და მთელ თავის დროსა და ენერგიას სწორედ აქეთკენ მიმართავს. ამავე პერიოდში მას საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად ირჩევენ. მალევე ის ხდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ერთი წლის შემდეგ კი თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად ირჩევენ. ასე მიუახლოვდა ანა სოლოღაშვილი 1919 წლის 12 მარტის მოვლენას. მოვლენას, რომელმაც სამუდამოდ განსაზღვრა მისი ადგილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში – ის ხდება იმ ხუთ ქალთაგან ერთ-ერთი, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრებად აირჩიეს. უფრო მეტიც, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე მხოლოდ ორი ქალის ხელმოწერა გვხვდება და ერთ-ერთი სწორედ ანა სოლოღაშვილს ეკუთვნის.

ესაუბრა
შორენა ბიჭიკაშვილი



რას სთავაზობს სახელმწიფო ძალადობის მსხვერპლებს?

მე გახლავართ, გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების, თავშესაფრის და კრიზისული ცენტრის იურისტი. მოგახსენებთ იმ სერვისების შესახებ, რასაც სახელმწიფო ძალადობის მსხვერპლ მოქალქეებს სთავაზობს.

პირველი არის ის, რომ სახელემწიფო ძალადობის მსხვერპლებს სთავაზობს თავშესაფრით უზრუნველყოფას, ასევე იურიდიულ მომსახურებას, სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგიურ მომსახურებას. ყველა ეს, მომსახურეობა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც ძალადობის მსხვერპლებს პირველ რიგში უჩნდებათ ის განცდა, რა უნდა მოიმოქმედონ, სად უნდა წავიდნენ, იმ შემთხვევაში, თუკი გააპროტესტებენ ძალადობას. ვინაიდან სახელმწიფოს აქვს უკვე გარკვეული სერვისები, ძალდობის მსხვერპლებს ეძლევათ საშუალება, რომ არ ითმინონ მათზე განხორციელებული ძალადობა, მიმართონ შესაბამის ორგანოებს და მიიღონ ის მომსახურება, რასაც სახელმწიფო მათთვის აკეთებს, ამისთვის საჭიროა მათ დარეკონ 112-ზე, ასევე არსებობს ძალდობის მსხვერპლთა დაცვის ცხელი ხაზი, ეს არის 116 006, შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია, როგორ უნდა მოიქცნენ, განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომ არ დარჩნენ ღია ცის ქვეშ და მიიღონ თავშესაფარი. თუ ძალადობის მსხვერპლმა ვერ განახორციელა ზარი ძალადობის დროს, შეუძლია მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს, მივიდნენ კონკრეტულ შშს-ს რაიონულ სამმართველოში და იქ განაცხადონ მათზე განხორციელებული ძალადობის შესახებ, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლები გამოწერენ შემაკავებელ ორდერს, ხოლო შემაკავებელი ორდერის არსებობის შემთხვევაში მათ უკვე შეუძლიათ თავშესაფარში განთავსება და იმ სერვისების მიღება, რაც უკვე ჩამოვთვალე.

ძალიან მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ეხება ბავშვებთან ერთდ თავშესაფარში განთავსებას, ვინაიდან ხშირად, მსხვერპლს ჰგონია, რომ თუ ის თავშესაფარში იქნება, მას მოუწევს შვილების დატოვება. ბავშვების დატოვება არ უწევთ მშობლებს, ვინაიდან ჩვენი სერვისების შესაბამისად ბავშვები შეუძლიათ წამოიყვანონ თან, ისინიც განთავსდებიან თავშესაფარში, როგორც მათზე დამოკიდებული პირები, იმის მიუხედავად ბავშვზე არის თუ არა, უშუალოდ, განხორციელებული ძალადობა.

ეს ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად გვხვდება სიტუაცია, დედებს ჰგონიათ თუკი განაცხადებს ძალადობის შესახებ, მათ შეიძლება ბავშვებთან დაშორება მოუწიოთ, რაც ასე არ არის. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაცია ვადებთან დაკავშირებით, თავშესაფარში და კრიზისულ ცენტრში ბენეფიციარების განთავსება ხდება იმ დოკუმენტის ვადით, რა დოკუმენტიც მათ აქვთ წარმოდგენილი, თუმცა გვაქვს ზედა ზღვარი, რა ვადითაც შეიძლება იყოს მსხვერპლი განთავსებული, ეს არის თავშესაფარში ცხრა თვის ვადა, თუმცა ეს აუცილებლად უნდა იყოს, ექვსი თვის შემდეგ, დასაბუთებული, რატომ საჭიროებს მსხვერპლი თავშესაფარში ცხრა თვე ყოფნას, ამ პერიოდის განმავლობაში მათზე მიმდინარეობს მუშაობა, რომ მსხვერპლებმა დამოუკიდებლად შეძლონ ცხოვრების გაგრძელება, თუმცა ეს მაქსიმალური ვადა არ ნიშნავს იმას, რომ თუკი შემაკავებელი ორდერის ვადით განთავსდება, ისიც ისარგებლებს ცხრა თვის ვადით. ვინაიდან შემაკავებელი ორდერი გამოიცემა ოცდაათი დღის ვადით, ამ შემთხვევაში მსხვერპლი პირველ ეტაპზე განთავსდება ოცდაათი დღის ვადით, ხოლო შემდგომ, თუ მულტი გუნდი გადაწყვეტს და არის მსხვერპლისთვის საჭიროება, რომ გაცილებით მეტხანს დაჰყოს თვშესაფარში ბენეფიციარმა, ასეთ შემთხვევაში იწყება მუშაობა სხვა დოკუმენტის მოძიებისთვის. მაგალითად: ეს იყოს დამცავი ორდერი, ასევე ამ პერიოდში თუკი მოხდა მისი დაზარალებულად ცნობა, ეს დოკუმენტები გვაძლევს იმის საშუალებას, მათთან გახანგრძლივდეს ხელშეკრულების ვადა, მაგრამ ეს არის დამოკიდებული ინდივიდუალურ ქეისებზე, რადგან სხვადასხვა მსხვერპლები და ბენეფიციარები საჭიროებენ განსხვავებული ვადით რეაბილიტაციას.

მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლმა ისაუბროს ხმამაღლა იმაზე, რომ ის მსხვერპლია და გააკეთოს განაცხადი და მიიღოს ის შეთავაზებები, რასაც სახელმწიფო სთავაზობს. ძალადობის თმენა იწვევს კიდევ უფრო მეტ ძალადობას, მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ მცირეწლოვანი ბავშვები, რომელებიც ოჯახში შეიძლება იყვნენ ძალადობის შემსწრენი, რომლებიც ირიბად არიან ძალადობის მსხვერპლები, შესაბამისად ეს ბავშვები საჭიროებენ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას. ვიცით, რომ, როცა კონფლიქტურ სიტუაციაში იზრდებიან ბავშვები, ისინი ყალიბდებიან მოძალადეებად, ამიტომ მნიშვნელოვანია მშობლებმა გადადგან სწორი ნაბიჯი.

შესაძლებელია, ძალადობის მსხვერპლს არ ესაჭიროებოდეს თავშესაფრის მომსახურება, თუმცა ესაჭიროებოდეს დღის ცენტრის მომსახურება, როგორიც არის იურისტის, ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მომსახურება. ჩვენ ასევე გვაქვს კრიზისული ცენტრი და შესაძლებელია მოგვაკითხონ საჭიროებიდან გამომდინარე. ეს არის, ქალაქ გორში ბარნოვის N9, სადაც 9:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე შეუძლიათ მოგვმართონ და მიიღონ ყველა ეს სერვისი, თუკი მათ ექნებათ დოკუმენტი, რაც დაადასტურებს, რომ ისინი ნამდვილად არიან ძალადობის მსხვერპლები.

თეა თედლიაშვილი
გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების, თავშესაფრის და კრიზისული ცენტრის იურისტი

ქალებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!

როცა გაზ. „შრომის“ მე 6N გადავშალე რომა ერთის მეორეს საწინააღმდეგო გრძნობამ შემიპყრო: სიხარულისა და სიმწუხარისამ. სიხარული გამოიწვია ჩემში, სიმპატიურმა წერილმა: „ორი ხმა“,-რომელიც სიამოვნებით აღინიშნავს ქალთა გამოფხიზლებას გაზ: „ხმა ქართველის ქალისა“-ს საშვალებით და ამბობს: „ჩვენ აღტაცებით ვეგებებით ამ ფაკტს, ის ყოველ მხრივ მნიშვნელოვანია“, ე.ი. ქალთაგან გაზეთის დაარსებაბ!:-ო.

სამწუხაროა მეორე წერილი იმავე გაზეთში რომელიც არას გზით არ აიხსნება გაზ. „შრომის“ ჩვენთან ცუდი განწყობილებათ. პირიქით გაზ. „შრომა“ ჩვენი ქალების ყოველთვის მედგარი დამცველია ასე რომ ჩვენ გვტკივა გული და ვაძლევთ პასუხს ბ. ჯავახს და არა გ. „შრომას.“ ბ . ჯავახი „შრომის“ მე 6N-ში ამბობს: „როდესაც ყველანი ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მივისწრაფოდეს ერთი მიზნისაკენ რომ გარიყული არ დავრჩეთ ცხოვრებისაგან; დღეს როდესაც დიდი პატარა, ქალი, კაცი (?) შეერთებული მოქმედებისაკენ უნდა მოუწოდებდეთ ყველას, რომ მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ ახალ წყობილებას, ქართველი ქალები ცალკე საზოგადოებას იარსებენ, ეთიშებიან მამაკაცებს.“ ამის პასუხათ მე ვაყენებ ასეთ დევიზს: ქალებო მთელი ქვეყნისა, შევერთდეთ! ჩვენ. ქალებს გვიძევს წინ ერთი დიდი საკითხი: ქალთა ემანსიპაცია! ამ საკითხის გარშემო უნდა შეერთდეთ ყველა ქვეყნის ქალები განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, მიმართულებისა, სოციალური მდგომარეობისა, და მთელი ჩვენი ძალ-ღონით ვებრძოლოთ ჩვენს დამმონავებელ პირობებს, ჩვენ არ უნდა ველოდოთ უფლებების „ბოძებას“, უნდა ერთის პირით და ერთის ძალით მოვიპოვოთ ის! რაც უნდა შეგნებული მამაკაცი იყოს უმრავლეს შემთხვევაში ის მაინც რაღაც ზევიდან დაგვცქერის, ეჭვის თვალით და ირონიულად უცქერის ჩვენს სამართლიან ლტოლვილებას. სხვა საერთო საქმეში ხელი-ხელ ჩაკიდებულები..... მხოლოთ ქალთა საკითხებში კი-ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს, ქალებო! აი, ასეთ დროს გვავნებს ჩვენ, ისევ ჩვენივე (ქალების) დაყოფა და ძალთა დაქსაქსვა. პარტიული კინკლაობით ჩენი პირადი საქმე არ უნდა დავღუპოთ! შევერთდეთ ერთი დროშის ქვეშ და ყველა ქალებმა და მედგრად დავიცვათ ჩვენი ინტერესები დავივიწყოთ ამ საკითხის გარშემო ყოველივე პირადული ინტერესები და პარტიული უთანხმოება, თორემ ისტორია ქალთა განთავისუფლებისა არ გვაპატიებს ჩვენ ამას. ქართველი ქალები ისეც ცოტანი ვართ საქმის მკეთებელი და კიდევ ძალთა დაყოფა, ერთმანეთთან უთანხმოება და მით საქმის გაფუჭება-მიუტოებელი ცოდვაა! ამით ჩვენ გავახარებთ ქალთა უფლების მტრებს და საბაბს მივსცემთ კიდევ მეტი სწერონ ჩვენი სომპატიური წრეებისა და კლუბების შესახებ. „რომელი წრე და საზოგადოებაც გნებავთ აიღეთ მამაკაცებისა, რომ მიზნათ არ ჰქონდეს დასახული წევრების თვით განვითარება, სამკითხველოს წიგნთ-საცავების დაარსება და სხვ... და ნუ თუ ქართველ ქალებს არ შეეძლოთ ჩაწერილიყვნენ ერთ რომელიმე წრეში და მამაკაცებთან ერთად ემუშავათ“-ო ამბობს ბ.ჯავახი. ჩვენ არ გვინდა მამაკაცების ხელისშემაცქერალნი ვიყოთ თვითგანვითარების იარაღის მოპოვებაში. ჩვენ ვსთქვით და კიდეც ვიმეორებთ, რომ ყველა საერთო საქმეებში მხარში ამოვუდებით მამაკაცებს, მაგრამ ქალთა საკითხი ჩვენი პირადი საქმეა და ჩვენ უნდა გავუძღვეთ მას ქალთა წრეებისა და კლუბებისა (ბანქოს) სათამაშო რო ეგონათ ზოგიერთს! დაარსებით.

ეს ჩვენ ხელს არ შეგვიშლის საერთო საქმეში მონაწილეობის მიღებაში, პირიქით დაგვეხმარება კიდეც, რადგან უფრო მომზადებულები ვიქნებით. გაიგონ ეს და უკუღმართათ ნუ ხსნიან ზოგიერთი მამაკაცები ჩვენ წმინდა მისწრაფებას.

ჩვენ უნდა ჩვენივეე, თავის იმედი ვიქონიოთ და მაშინ სხვებიც დაგვეხმარებიან ამისთვის ჩვენ დებს ვუყივით:

ქალებო მთელი ქვეყნისა, შევვერთდეთ!

ნინო ნადირაძე
1917 წელი, №4

გაზეთი გამოიცემა „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის („ხმა ქართველი ქალისა“ – ფემინისტური მედია შიდა ქართლში") ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია "ქალთა ფონდის" მიერ

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA